ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 175

"24" ივლისი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირი №38-ის მიმდებარედ არსებული 69 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.15.05.009.032) 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბერნინისთვის" (ს/კ: 400189666) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირი №38-ის მიმდებარედ არსებული 69 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.15.05.009.032) 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბერნინისთვის" (ს/კ: 400189666) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 6 ივლისის №20.702.882 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირი №38-ის მიმდებარედ არსებული 69 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.15.05.009.032) 30 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით წესით შპს „ბერნინისთვის" (ს/კ: 400189666) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 5 400 (ხუთი ათას ოთხასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე